საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/659
02/02/2026

659-01-2-202602021307

ქეთევან ლურსმანაშვილს (პ/ნ:

მის.:

ელ.ფოსტა:

ტელ.:

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი 2025 წლის 30 დეკემბრის N01/8173 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომ – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია). ამავე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს, განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. თქვენს 2025 წლის 30 დეკემბრის N01/8173 განცხადებაში არ არის

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

წარმოდგენილი მოვაჭრის საიდენტიფიკაციო ნომერი, დასახელება და მისამართი. აგრეთვე განცხადებას არ ახლავს განცხადებლის ხელმოწერა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ხელმოწერილი განცხადება და ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე